გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება N 110

2025 წლის 12 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

კერძო პირების მიერ ხშირად გამოხატული ინტერესიდან გამომდინარე, რომელც გულისხმობს ქალაქ გორის ტერიტორიაზე კომერციული საქმიანობისთვის მარტივი კონსტრუქციების განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთების იჯარის ფორმით გადაცემას, გორის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა ქალაქის ტერიტორიაზე მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა და მუნიციპალიტეტისთვის დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით, მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

ქალაქ გორის ტერიტორიაზე შეირჩა 4 (ოთხი) უძრავი ქონება, კერძოდ:

1. ქალაქი გორი, მშვიდობის გამზირზე მდებარე 11.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.16.383. აუდიტორული კომპანიის შპს „კომპაუდი"-ს მიერ 2025 წლის 08 აგვისტოს N133-ქ დასკვნის შესაბამისად ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 7 400 (შვიდიათას ოთხასი) ლარი.
2. ქალაქი გორი, მშვიდობის გამზ. N12-ზე მდებარე 30.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.16.385. აუდიტორული კომპანიის შპს „კომპაუდი"-ს მიერ 2025 წლის 08 აგვისტოს N134-ქ დასკვნის შესაბამისად ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 16 300 (თექვსმეტიათას სამასი) ლარი.
3. ქალაქი გორი, ქართლის ქუჩაზე მდებარე 155.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.17.234. აუდიტორული კომპანიის შპს „კომპაუდი"-ს მიერ 2025 წლის 08 აგვისტოს N135-ქ დასკვნის შესაბამისად ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 80 300 (ოთხმოციათას სამასი)

ლარი. (155.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 100.00 კვ.მეტრი განიკარგება მარტივი ტიპის კონსტრუქციის განსათავსებლად, ხოლო 55.00 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი მოწესრიგდება და მოეწყობა საზოგადოებრივი სივრცე).

4. ქალაქი გორი, 26 მაისის სანაპიროზე მდებარე 1000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.17.452. აუდიტორული კომპანიის შპს „კომპაუდი"-ს მიერ 2025 წლის 08 აგვისტოს N136-ქ დასკვნის შესაბამისად ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ზემოთ აღნიშნული ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და იჯარის წლიური საფასურის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 (ოთხი) უძრავი ქონება, კომერციული საქმიანობისთვის, მარტივი კონსტრუქციების განთავსების მიზნით გასცეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით;

ა) ქალაქი გორი, მშვიდობის გამზირზე მდებარე 11.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.16.383. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება: 7 400 (შვიდიათას ოთხასი) ლარი, საწყისი წლიური საიჯარო ქირა ნაკვეთზე განისაზღვროს: 420 (ოთხას ოცი) ლარით.

ბ) ქალაქი გორი, მშვიდობის გამზ. N12-ზე მდებარე 30.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.16.385. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება: 16 300 (თექვსმეტიათას სამასი) ლარი, საწყისი წლიური საიჯარო ქირა ნაკვეთზე განისაზღვროს: 840 (რვაას ორმოცი) ლარით.

გ) ქალაქი გორი, ქართლის ქუჩაზე მდებარე 155.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.17.234. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება: 80 300 (ოთხმოციათას სამასი) ლარი, საწყისი წლიური საიჯარო ქირა ნაკვეთზე განისაზღვროს: 4020 (ოთხიათას ოცი) ლარით. (155.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 100.00 კვ.მეტრი განიკარგება მარტივი ტიპის კონსტრუქციის განსათავსებლად, ხოლო 55.00 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი მოწესრიგდება და მოეწყობა საზოგადოებრივი სივრცე).

დ) ქალაქი გორი, 26 მაისის სანაპიროზე მდებარე 1000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ. 66.45.17.452 საწყისი საპრივატიზებო ღირებულება: 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი, საწყისი წლიური საიჯარო ქირა ნაკვეთზე განისაზღვროს: 25080 (ოცდახუთიათას ოთხმოცი) ლარით.

2. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლის ვადით.

3. აუქციონის პირობებად განისაზღვროს შემდეგი:

ა) ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები გაცემული იქნეს კომერციული საქმიანობისთვის, მარტივი კონსტრუქციების განთავსების მიზნით, რომლის ზომები და იერსახე უნდა შეთანხმდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურთან.

ბ) მოიჯარე ვალდებულია იჯარის მოქმედების მთელ პერიოდზე დარეგისტრირდეს აბონენტად შესაბამისი კომუნალური მომსახურების გამწევ ორგანიზაციებში (ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალმომარაგება, დასუფთავება);

გ) მოიჯარე ვალდებულია მოაწყოს სველი წერტილი იჯარის ობიექტზე იმ შემთხვევაში, თუ გორის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნული პირობა აუქციონის გამოცხადებისას გათვალისწინებული იქნება წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებულ რომელიმე ქონებაზე.

დ) გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც 2 (ორი) კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

4 .განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

5 .განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე